



27.10.16

## სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და USAID-ის პროექტის „ზრდა საქართველოში“ შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და USAID-ის პროექტის „ზრდა საქართველოში“ ხელმძღვანელმა, ბრაიან კინგმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის ექსტენციის სახელმწიფო სერვისცენტრების (AICCs) ხელშეწყობას, ფუნქციონირების გაუმჯობესებასა და შესაძლებლობების ზრდას.

მემორანდუმი გაფორმდა USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „ზრდა საქართველოში“ ფარგლებში. „ზრდა“ არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ექვსი რეგიონის 70 თემში. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მცირე და საშუალო საწარმოების და შიდა მეურნეობების განვითარებას, სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას ადგილობრივი თემების გაძლიერების მიზნით, მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით.

მხარეები მემორანდუმით გათვალისწინებული მოვალეობების შეასრულებას 2016 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყებენ. სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და USAID-ის „ზრდა“ პროექტის თანამშრომლობა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ხელშეწყობას, სოფლის მეურნეობით დაკავებული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და სასოფლო-სამეურნეო უნარ-ჩვევების განვითარებას.

მემორანდუმის გაფორმების ღონისძიებას სოფლის მეურნეობის სამინისტროს და USAID-ის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

*USAID-ის პროექტ ზრდა-ს საქმიანობის შესახებ: USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ექვსი რეგიონის 70 თემში. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება 2000 სამუშაო ადგილი, 11000 ოჯახს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>*